


## პრეზიდენტი ტურს არ ასდენს გუზინ ბოლნისში ჩემპიონობა იზვიდებს



ბათუმი — თბილისი 1:0. ზედზედ მეორე ტურია, მიხვილ საჯაშვილი საქართველოს ჩემპიონატს ტრიბუნიდან ადევნებს თვალს



„სიონმა“ „ვეტ ჭორჯია“ კოკა მიკუჩაძის (№10) ოქროს გოლით დაამარცხა

## მეთოფაებს სიყვი მიუზარდა



### ვაკანსია

ფარმაცევტული კომპანია „იამანური“ აცხადებს კონკურსს სამედიცინო წარმომადგენლის თანამდებობაზე; პირიზაპი:

- მამაკაცები 35 წლამდე
  - რუსული ენის ფლობა
  - თბილისში მცხოვრები
  - 1 ფოტოსურათი
  - უმაღლესი სამედიცინო განათლება
- მისაგართი: დავით აღმაშენებლის 148/2  
8 99 92 52 22  
მისაგება 5 პაისაგდე

## ანას დიდი ნახტომი

ტატიუვილი  
ვერტის ფრთეჟვეუ

ინტერვიუ ანა ტატიუვილით იხილეთ მეცამეტე გვერდზე



ამირან გამბაღლაძე

ფოტო: დიმიტრი ჯაფარიძე



საქართველოს ეროვნული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე ტურა

26 თებერვალი



მურმან დოღვენიძე

## ოქროსი ბოლისში ტურებს ითვლიან

ბოლისი. 17 სექტემბერი. 16 საათი. თბილისი. 3 500 (ტევადობა 4 000)

### სიონი 1:0 ვიბ ჯორჯია

10 მიკუჩაძე (39)	
სიონი: ბათიაშვილი, ლ. ჭელიძე, ჭიჭვიშვილი, ბ. თედორაძე, რაქვიანიშვილი, ხმალიძე, სვანიძე (გურბიანი 31), ქუცურა (კვიციანიშვილი 56), ვ. უგრეხელიძე, მ. ხუციშვილი, მიკუჩაძე (ოქროპირიძე 78) სათადარიგონი: ბობიაშვილი, კობახიძე, ქარდავა, სირბილაძე	ვიბ ჯორჯია: მიქაბერიძე, დ. ლომია, ა. კახაძე, გველესიანი, პ. დათუნაშვილი, დიმიტრაშვილი, იმედაშვილი (ბერიანიშვილი 67), გ. დათუნაშვილი (მელაძე 75), ლუჭაშვილი, გელაშვილი (ზ. სახოკია 46), ფეიქრიშვილი სათადარიგონი: ლურბელიშვილი, ჯაფარიძე, კვლიანიძე, კლიშვილი
გაწმენილი: ხუციშვილი (54), ჭელიძე (57), იმედაშვილი (52), ბათიაშვილი (90)	მსაჯეობა: ლ. სილაგავა; ზ. მენთეშვილი, მ. ელიკაშვილი; ო. ხეცაძე
დამამხრებელი: ა. კახაძე; დირექტორები: ს. კოტრიკაძე, პ. ბურჯულიანი	



კოკა მიკუჩაძეს და „სიონს“ ჩემპიონობამდე ნაბიჯი აყლიათ

### კოკა ინსაბრიკი ბოლისიდან

„სიონი ჩემპიონია“, „სიონი ჩვენია“, „გაუმარჯოს სიონს“, „რევანში გვინდა“ — ასეთი პლაკატები გადმოეფინათ გუმინ „სიონის“ ქომაგებს ტრიბუნებზე. იცოცხლეთ, ბოლისელებმა კარგად იცოდნენ ამ მატჩის მნიშვნელობა და სტადიონზე შესაბამისი განწყობით მივიდნენ, ხმის გამაძლიერებელიც თან ჰქონდათ და ქომაგობა გაჩაღდა, ნუ იტყვიან... ტრიბუნაზე ანშლაგი არ იყო, თუმცა ამ მატჩს გაცილებით ბევრი მყურებელი ჰყავდა, ვიდრე „სიონის“ წინა თამაშებს.

„სიონმა“ მოიგო, მოიგო ბრძოლით და ბევრი ნერვიულობის ფასად, მაგრამ მოიგო და ცხრილიდანაც კარგად ჩანს, ჩემპიონობამდე სულ ცოტა უკლია. ამიტომაც იყო, ნამატჩევს ბოლისის ცენტრალურ ქუჩაზე საქართველოს დროშაფრიალბული მანქანები რომ დაქროდნენ და საყვირით ერთურთს საჩემპიონო სალამს ეუბნებოდნენ.

„სიონმა“ მოედანი მატჩის დამთავრებიდან ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ დატოვა, ფეხბურთელები და მათი მწვრთნელი კახა ცხადაძე ტრიბუნას ვერ შორდებოდნენ... არადა, ცხადაძე მთელი მატჩისას სწორედ ტრიბუნაზე, ქომაგთა შორის იჯდა და გუნდის თამაშს იქიდან მიჰყავდა — „სიონის“ მწვრთნელი დისკვალიფიცირებული იყო.

მატჩი კი „სიონის“ ისეთი მომენტით დაიწყო, რომ იტყვიან, ასპროცენტინი საგოლე იყო: ბურთიან მიხელო ხუციშვილს კარიდან ორისამი მეტრი აშორებდა, ხელის შემშლელიც არავინ ჰყავდა, მაგრამ იჩქარა და რეალური შანსი კარს ზემოთ დარტყმულით გააცუდა. სამაგიეროდ კი, სწორედ ხუციშვილი იყო ის ფეხბურთელი, ვინც სტუმრებს სანერვიულო არ დააკლო და საგოლეს ჩათვლით ისეთი პასები აკეთა, გვიკვირს, პარტნიორებმა გარჯა როგორ ვერ დაუფასეს.

„ვიტ ჯორჯიამ“ მასპინძლებს მალევე უპასუხა და უკვე „სიონი“ გადარჩა: გიორგი ფეიქრიშვილის ჩაწოდებული ბურთისკენ ვასილ ლუჭაშვილი აიწია და ისეთი თაყური გამოუვიდა, ნახევარ სატლიონს გოლი რომ ეგონა, ბოლისელთა ბედად, ბურთი კარს აცდა. ეს მომენტი იყო და, „ვიტ ჯორჯიამ“ მოედნის ცენტრში უპირატესობა მოიპოვა, თამაში სტუმრებმა წაიყვანეს, თუმცა ზურაბ ბათიაშვილის კარამდე მიღწევა უჭირდათ.

ტრიბუნაზე მყოფმა ცხადაძემ შეცვლა არ დააყოვნა, დავით სვანიძეს ალექსეი გურბიანიც ამჯობინა. მწვრთნელმა გუნდის ხერხემალი გაამაგრა და რამდენიმე წუთში შედეგი მიიღო, ვინძლო, ოქროს შედეგიც: მიხელო ხუციშვილის გონიერული პასი და, ლამის ცენტრის ზაზიდან დაძრული კოკა მიკუჩაძე არდაღიონ მიქაბერიძესთან მარტო დარჩა. ფორვარდმა მეკარე საჯარიმოს ხაზამდე ჩამოიშორა და ცარიელ კარში გატანა რაღა პრობლემა იქნებოდა — 1:0.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ გოლამდე ხუციშვილი-მიკუჩაძის დუეტის ჩინებული თამაში ერთხელაც ჩაენიშნეთ. მიკუჩაძის ასისტენტი იმ ეპიზოდშიც, რა თქმა უნდა, ხუციშვილი იყო, ფორვარდმა კი ბურთი დასარტყმელად მკერდით რომ გაისწორა, ისევ მიქაბერიძის ცხვირწინ დარჩა, მაგრამ კარს ვეღარ დაუმიზნა.

შესვენებისას კახა ცხადაძემ და ნესტორ მუმლაძემ შევირდებს რა უთხრეს, ვერ გეტყვით, მაგრამ, რაც მატჩის განახლებიდან საწყის ათ წუთში ვნახეთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ცხადაძემ გუნდს დაცვაში მეტი ყურადღებისკენ მოუწოდა, მუმლაძემ კი პირიქით, რაზეც მისგან გაკეთებული ცვლილებიდანაც გამოჩნდა. ნიკა გელაშვილს, ვინც შესვენებამდე მასპინძელთა ტანმალაღი მცველების წინააღმდეგ ვერაფერს გახდა, მწვრ-

თნელმა სხარტი ზაზა სახოკია ამჯობინა.

თამაშის განახლებისთანავე „ვიტ ჯორჯიამ“ მეტოქეს ძალიან სახიფათოდ შეუტია და რამდენიმე კარგი მომენტიც მიიღო. გიორგი დათუნაშვილი, დავით ლომია და სახოკია გამთანარებელ გოლთან ძალიან ახლოსაც იყვნენ, მაგრამ ერთ ეპიზოდში დავით ჭიჭვიშვილმა იმარჯვა და დარტყმულს ფეხი დაუხვედრა, მერე კი ბათიაშვილი იყო უშეცდომო.

64-ე წუთზე დაწინაურება ისევ „სიონს“ შეეძლო. ისევ ხუციშვილის პასი და მარჯვენა ფლანგიდან კარისკენ ვლადიმერ უგრეხელიძე გატანდა. მიქაბერიძემ კარი დატოვა, უგრეხელიძემ მას ბურთი თავზე გადაუგდო, ნადი გოლი ჩაენდა, თუმცა ლომიამ გუნდი მეორე გოლს ზედ კარის ზაზაზე გადაარჩინა — ბურთი აუტში გადაგდო. არადა, მიკუჩაძესაც რომ ეჩქარა, არა მგონია, ლომიას დაეცწო.

შემდეგ „ვიტ ჯორჯია“ კიდევ რამდენჯერმე დაემუქრა მეტოქეს, რეალურ საგოლე მომენტამდე კი საქმე ადარ. მისულა. სტუმრები ფიზიკურად უკეთ მომზადებულნი ჩანდნენ და მატჩის ბოლოსკენ მეტი ჯანსიკ შერჩენოდნენ, მაგრამ „სიონის“ დაცვა ვეღარ გატყუებს და... რევანშიც შედეგი! ორი წლის წინ „ვიტ ჯორჯიამ“ „ოქროს მატჩში“ სწორედ „სიონი“ დაამარცხა, გუმინ კი... ვფიქრობთ, გუმინაც „ოქროს მატჩი“ იყო.

ნესტორ მუმლაძე: საკმაოდ დამბული და პრინციპული მატჩი იყო. სხვას არც ველოდით. „სიონმა“ დამსახურებულად მოიგო, „ვიტ ჯორჯიას“ კი თამაში არ გამოუვიდა. ჩვენს შორის სხვაობა უკვე ექვსი ქულაა და, ვეჭვობ, ჩემპიონატის ბოლომდე ბოლისელებმა ასეთი უპირატესობა ხელიდან გაუშვან. თუმცა „ვიტ ჯორჯია“ მაინც იბრძოლებს.



# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე წრე 26 ტურში

## დაისვენეთ ბიჭებო... ჩრდილში!



ლადო ბურდულაძე ზედიზედ მეორე მატჩში გაიტანა

დავით თავართქილაძე

„დინამო“ სამივე გოლი თავურით გაიტანა, სამთავიანი გველეშაპივით მრისხანე იყო იმ „ლოკომოტივთან“, რომელმაც მეორე წრეში მოგების გემო არ იცის. ამ მოგებით „დინამომ“ ცხრილში ერ-

თი საფეხურით აინაცვლა. „ლოკომოტივი“ ნახევარი ტაიმი უძალიანდებოდა მეტოქეს და მე-16 წუთზე გოლის გატანაც კი შეეძლო — მარჯვენადან გიორგი ჩივაძემ ჩააწოდა, მცველთან ორთაბრძოლაში გიორგი ალავერდაშვილმა იმარჯვა, მაგრამ 5-6 მეტრიდან მის დარტყმულს დინამოელთა მეკარე ზვიად სტურუა გადაეღობა.

დინამოელთაგან გამორჩეული ლადო ბურდულაძე იყო, სტუმართა თითქმის ყველა შეტევა მისი აქტიურობით ვითარდებოდა. ერთხელ ბურდულაძე შორეული დარტყმით სცადა გატანა და კუთხური მონივრა, რომელიც მანვე ჩააბზრიალა და მიხეილ ბობოხიძემ ახლოდან დალაშქრა „ლოკომოტივის“ კარი. შეიძლება ითქვას, აქ დამთავრდა ყველაფერი — „ლოკომოტივისგან“ ბევრს არც არავინ ელოდა, მაგრამ გაშვებული გოლის შემდეგ მასპინძლებს ის ნიათიც მოაკლდათ, მანამდე რომ ჰქონდათ.

ანდრე ჩერნიშოვმა მოედანზე მათე ვაწაძე შეუმუა — ეს მისი დები-



ლოკომოტივი 0:3 დინამო



0:1 ბობოხიძე (25), 0:2 ვაწაძე (24), 0:3 ბურდულაძე (52)	
<b>ლოკომოტივი:</b> ჩილაძე, ნ. ებრაელიძე (პეტროსიანი 46; ბახტაძე 65), ოგბაიძე, თუთბერიძე, ფურთუხია, ავალიანი, მ. ფლენტი, ჩივაძე, გ. კახელიშვილი, რამონი (ყიფიანი 58), ალავერდაშვილი (სათადარიგო მენაბდე, ხორგუაშვილი, ბარბაქაძე) <b>მწვრთნელი:</b> სოსო სირაძე	<b>დინამო:</b> სტურუა, ორბელიძე, შაშიაშვილი, ნავალოვსკი, ამბროზიო, ლ. ბურდულაძე, ს. კობახიძე (აკობია 52), ახალაია (ვანაძე 40), ჯ. დვალი, მ. ბობოხიძე, გიგაური (ლ. ნოზაძე 59) <b>სათადარიგო:</b> ლორია; ქემოკლიძე, კ. მახარაძე, გ. მერებაშვილი <b>მწვრთნელი:</b> ანდრე ჩერნიშოვი
<b>გაწვრთნელთა:</b> ყიფიანი (80)	
<b>მსაჯენი:</b> გ. კიკაძე; ს. სპიციანი, დ. გოგოლაძე; ლ. ფანიაშვილი	
<b>დამკვირვებელი:</b> ე. ხილაგავა	

უტი იყო მთავარ „დინამოში“. ორი დღით ადრე ვაწაძემ „დინამო 2“-ში პირველი გოლი მატჩი ითამაშა „ლიახვთან“ და სამი გოლი გაიტანა.

ერთი სიტყვით, ჩერნიშოვს ალლომ არ უმტყუნა — ამბროზიოს ჩაწოდებულ ბურთს ვაწაძემ საგოლე თავური მიაყოლა — 0:2.

შესვენებაზე „დინამო“ გასახდელში ვერ შევიდა, რადგან ამის საშუალება „ოლიმპის“ სტადიონზე არაა. ჩერნიშოვმა ფეხბურთელებს მინდვრის დაჩრდილოეთ ფართობზე მოუყარა თავი და იქ აძლევდა სამეორეტიმო დავალებებს.

მოსალოდნელი იყო, რომ „დინამო“ მეორე ტაიმში გოლებით ამო-

კლავდა „ლოკომოტივს“, მაგრამ მეტოქეს ოდენ ერთი გოლი აკმარა — ჯაბა დვალმა მარჯვენა ფლანგზე გაილაღა და ბურდულაძეს უზუსტესი საგოლე პასი უბოძა — 0:3.

„დინამოს“ კიდევ უნდა გაეტანა — ამბროზიომ ძელს შეაწყვიტა ბურთი, ხოლო დვალმა ახლოდან მეკარეს დაუმიზნა.

არც „ლოკომოტივი“ იყო უქმად შეტევაში — სტურუამ ჯერ გიორგი კახელიშვილის ღონიერი ცაცია მოიგერია, მერე კი ალავერდაშვილს აუღო თავური.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, თამაში ძალიან ზანტი და მონოტონური გამოდგა.

## დარასელთა რუსეთში დაბრუნდა



გუშინდელ „ლოკომოტივ“ — „დინამოს“ შეხვედრაში არ უთამაშა დინამოელთა 27 წლის შუახაზელ ვიტალი დარასელიას და როცა მისი არყოფნის მიზეზით დავინტერესდით, შევიტყვეთ, რომ დარასელია რუსეთშია და ერთ-ერთ იქაურ გუნდში აპირებს მოწყობას.

დარასელია „დინამოში“ რამდენიმე დღეში დაბრუნდება — კონტრაქტით მან „დინამოში“ სეზონის ბოლომდე უნდა ითამაშოს.

როგორც შევითქვეთ, დარასელიათი რამდენიმე რუსული კლუბია დაინტერესებული და ერთ-ერთი მათგანი იაროსლავლის „შინიკა“.

შევასხენებთ, რომ „დინამოში“ დაბრუნებამდე დარასელია ვლადიკავკაზის „ალანიაში“ თამაშობდა.

დავით თავართქილაძე

# სიასლა ჯაოსელისგან ჯომ-მიქსი!

# GEO \*123# ჯომ MIX მიქსი

## აკხიფეთ

### ქ 23 \*9 # YES

და მომენტალურად დაადგინეთ

მომდინებელი სეზონის დასრულების შემდეგ

# SCORE LIVE

wap.geocell.com.ge








# საქართველოს XVII ჩემპიონატი

## მეორე ტურა 26 თებერვალი

უმაღლესი ლიგა

### ადდგომა და სვალეო

#### მაისად სხვა ტორპედოს გზავილებიან



ქუთათურთაგან თავი მამუკა ლონდაძემაც გამოიჩინა

მთაბანის. 19 აპრილი. 16 საათი. ტორპედო 3 000 (ტყუადობა 20 000)

### ტორპედო 4:1 სხინვალის

10 კორდალიძე (11), 20 ყიფიანი (51), 30 კვერნაძე (57), 40 ლონდაძე (51), 41 კ ხანიშვილი (81)	ტორპედო: ჭურაძე, ბერუაშვილი, ა. კვერნაძე (კეტიშვილი 46), გ. ყიფიანი, დოლონაძე (კობახიძე 62), ზ. მსტიანი, რ. კვერნაძე, გურული (ლალიძე 46), გამეზარდაშვილი, კორდალიძე, მ. ლონდაძე, სათადარიგო: მიგინიშვილი, დარსანიძე, გორგოძე, ხურცილაძე	სხინვალის: ო. ბობოხიძე, გ. ჩიტაია, ქარქუაშვილი, ე. დვალის, გ. ლომიძე, მ. თაყაიძე (მინარაშვილი 46), კ. ხანიშვილი, ნ. ნოზაძე, ბ. ჩიტაია (დ. ხანიშვილი 46), გ. მაისურაძე (გ. ახალკაცი 58), სულთანიშვილი
მწვრთნელი: იური კვერნაძე	მწვრთნელი: ივანე თაყაიძე	მწვრთნელი: ივანე თაყაიძე
მსაჯე: დ. ხარტიანიშვილი; ლ. მიქელაძე, გ. ჩიტაიძე; ა. სამხარაძე	დახმარებელი: ო. გუნთაძე, დირექტორი: გ. ქორიძე	

**ზაზა ცინცაძე ქუთაისიდან**

ქუთაისის „ტორპედომ“ მნიშვნელოვანი სამი ქულა მიიპოვა ასევე აუტსაიდერ „ცხინვალთან“ და ქულებით გაუსწრო მას, ვისთანაც გუშინდღამდე მეთორმეტე-მეცამეტე ადგილებს იყოფდა.

მასპინძლებმა თავიდანვე აქტიურად შეუტყეს — მე-5 წუთზე რევავს კვერნაძე მეკარესთან პირისპირ გავიდა, თუმცა სისწრაფემ დააღალატა... ორიოდ წუთში გიორგი ყიფიანმა ჩამოიტოვა მცველები და ბურთი ლევან კორდალიძეს დაუგდო, მისი დარტყმული კი ოთარ ბობოხიძემ მოიგერია.

შედეგით მათი შემდეგულა მოახერხეს მეტოქის ნახევარზე გადასვლა — ვაგა ჩიტაიამ სცადა შორიდან გატანა, მაგრამ სერგო ჭურაძეს ვერ აჯობა.

საპასუხო შეტევისას კორდალიძეს

მართებდა მამუკა ლონდაძის პასით გატანა, მაგრამ მიზანი ვერ გაიწვორა, წუთის მერე კი რევავს კვერნაძემ შენიშნა კორდალიძე — ლევანმა ამჯერად თანაგუნდელს გარჯა დაუფასა და ბურთი მეკარისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში შეაგორა — 1:0.

მე-17 წუთზე რევავს კვერნაძე გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ... დაცვაში ჩამდგარ სტუმართა იშვიათი კონტრშეტევისას კი მიხვილ თაყაიძემ ბურთი თავზე დაასვა ბექა ჩიტაიას, რომელმაც კარს მცირედით ააცილა.

26-ე წუთზე არმაზ დოლონაძის პასით მასპინძელთაგან ყველაზე აქტიურ ლევან კორდალიძეს შეეძლო გატანა, მაგრამ ააცილა.

მეორე ტაიმში თამაშის სურათი დიდად არ შეცვლილა, „ტორპედო“ უმეტეს დროს შეტევებში ატარებდა, „ცხინვალის“ კი აქა-იქ კონტრშეტევებით იჩხვლიტებოდა.

ტაიმის დებიუტშივე კორდალიძეს ისევ შეეძლო ანგარიშის გაზრდა, თუმცა მისი დარტყმული ძეგლმა აისხლიტა, მალე ერთ-ერთ ცხინვალელს ბურთი საკუთარი საჯარიმოს მისაღვამებთან ხელზე მოხვდა და ჯარიმა გიორგი ყიფიანმა უნაკლოდ შეასრულა — 2:0.

57-ე წუთზე სტუმრებმა „ტორპედოსგან“ მესამე გოლიც მიიღეს — მამუკა ლონდაძის საჯარიმო დარტყმას რევავს კვერნაძე შეწვდა და შანსი არ დაუტოვა ოთარ ბობოხიძეს — 3:0.

თამაშის დამთავრებამდე 30 წუთით ადრე ლონდაძემ ანგარიში გამანადგურებელი გახადა — 4:0.

თამაშის ბოლომდე შეტევებით გართულ ტორპედოელებს ცხინვალელთა კონტრშეტევა გაეპარათ და კობა ხანიშვილმაც „პრესტიჟისა“ შეაგლო — 4:1.

**პრესკონფერენცია**

**ივანე თაყაიძე:** ბიჭებს დავალება მივეცი, ფრისთვის მიგვეღწია, თუმცა ამოცანა ვერ შეასრულეს, თავი დაღლილობამ იჩინა. მჭიდრო სათამაშო კალენდრის გამო ვერ ვახერხებთ მალეების აღდგენას. ვეცდებით, უმაღლეს ლიგაში ადგილი შევიწინარუნოთ.

**იური კვერნაძე:** მოგება გვეჭირდებოდა, ამიტომაც შემტევი ტაქტიკა ავირჩიეთ. მიმდინარე ჩემპიონატში უმაღლეს ლიგაში დარჩენაზე ვიზრუნებთ, მომავალი სეზონიდან კი სულ სხვა „ტორპედოს“ იხილავთ.

### კოლხეთი 2:2 კახეთი

0:1 დავითაშვილი (36), 0:2 ბურდული (40), 1:2 კრასოვსკი (81), 2:2 ნიქარიშვილი (85)

კოლხეთი: ლატარია, ზ. რაზმაძე, დ. ნარსია, ფარულაძე, ლოლუა (ზ. ქუთათელაძე 37), ყურაშვილი, კრასოვსკი, მარგალიტაძე, ვართაგავა (ნაბრია 88), ზ. ჯანაშია (გ. ხიზანიშვილი 67), ნიქარიშვილი	კახეთი: ცინაძე, ტარულაშვილი, მალაქელიძე, კვიციანი, ბედიძე, როსტიაშვილი (სოსელია 55), კვეციანი, გიორგობიანი, ნ. დავითაშვილი, დ. ბურდული, ვ. კობახიძე, სათადარიგო: გ. იაშვილი, არუდაშვილი, ტეტიაშვილი, კუპრაშვილი, ბიძინაშვილი
სათადარიგო: ხარძეიშვილი; ნოდია, ხასია	მწვრთნელი: სოსო ფილია
მწვრთნელი: სოსო ფილია	მწვრთნელი: ჯემალ მახარაშვილი
მსაჯე: ა. ორდინიძე; ი. უკლება, მ. ლომაძე; დ. ხანაია	
დახმარებელი: ზ. პეტრიაშვილი	

### სიახის ტაიფები

#### კოლხეთმა და კახეთმა ერთმანეთს წუთები დაუთვალეს

**გოგა ჯანაშია ფოთიდან**

**სატურნირო** სიტუაციიდან გამომდინარე, გუშინდელ ფაზისურ დაპირისპირებას ინტრიგა არ აკლდა. ორივე გუნდს თავის დასამშვიდებლად მოგება არ აწყენდა, მაგრამ ეს ვერც ერთმა მოახერხა.

უცნაური შეხვედრა გამოდგა — გოლები პირველ და მეორე ტაიმებში ზუსტად ერთი და იგივე წუთებზე გავიდა, თუმცა ფაქტია, რომ სამ ქულასთან სტუმრები უფრო ახლოს იყვნენ.

მატჩი კოლხეთა მცირედი უპირატესობით დაიწყო და კარგა ხანი ასეც გაგრძელდა. ერთი მხოლოდ, სოსო ფილიას შეგორებმა დირეზული ბევრი ვერაფერი შექმნეს, მხოლოდ ზამირ ჯანაშიას შორეულ დარტყმულს თუ გამოვარჩევდით ტაიმის შუისკენ — გიორგი ცინაძემ იყოჩაღა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

ჩასაფრებული „კახეთი“ შანსს ელოდა და 36-ე წუთზე პირველივე ხეირიანი იერიში გოლადაც აქცია — ნიკა დავითაშვილმა სტუმართაგან გამოჩრეული დავით ბურდულის გადაცემა შეირგო და ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა.

სანამ „კოლხეთი“ გონს მოეგებოდა, ბურდულმა თავადაც შეძლო გატანა: საჯარიმოში მარცხნიდან შერბენილს ვლადიმერ კობახიძემ ბურთი ჩინებულად შეაყოლა და მეკარეს მარტო შეატოვა — დავითმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა და 0:2.

„კოლხეთი“ მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა, თანაც ოთხი წამყვანი (შალამბერიძე, კლასონია, ქუტიძე, ქობულაძე) ფეხბურთელის გა-

გოგა ჯანაშიას და სოფო ნილოსანს ვულოცავთ შეუღლებას. ახალმშობილ ოჯახს ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ბევრი შვილის ყოლას ვუსურვებთ.

სარბიელელები

### რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა...

**თბილისის „დინამოს“** დიდიმის საწვრთნელ ბაზაზე გუშინ პროკურატურისა და ფინანსური პოლიციის წარმომადგენლები არ გამოჩენილან. გუშინწინ, წასვლისას, ჯგუფის წევრებმა კლუბის ხელმძღვანელებს დაუბარეს, თუ საჭიროდ ჩავთვლით, წინასწარ ტელეფონით შევატყობინებთ და მერე გეახლებით.

ჯერჯერობით მოკვლევის გაგრძელებაზე საუბარი ისევე ძნელია, როგორც მის შეწყვეტაზე. ოფიციალური განცხადება პროკურატურას ან ფინანსურ პოლიციას არ გაუკეთებიათ. რაც შეეხება დოკუმენტაციას, „რევიზორებს“ დიდიმდინარე თითქმის არაფერი წაუღიათ.

# ჯადოქარმა ლუდოვიკი გააგეფა

მილანი (იტალია) 0:1 ბარსელონა (სპანეთი)

0:1 ჟიული (56)

მილანი: დიდა, სტამი (ვაფუ 77), ნესტა, კაბაქაძე, სერჟინიო, გატუზო (ამბროზინი 74), პირლო (მალდინი 67), ზედორფი, კაკა, შვეინგო, ჯილარდინო  
მწვრთნელი: კარლო ანელოტი

ბარსელონა: ვალდესი, ოლეგერი (მოტა 75), პუილი, მარკესი, ვან ბრონკოფორსტი, ვან ბომელი, ედმონსონი, ინიესტა, ჟიული (ბელეტი 71), რონალდინიო (მაქსი ლოპესი 89), ეტო

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: პუილი (34), ვალდესი (74), ნესტა (82)

მსაჯე: ალან სარსი (საფრანგეთი)

79 000 მაყურებელი



**OH LA LA!**

El Barça dio un mital en San Siro y ya tiene un pie en la final de París

Ronaldinho puso la magia y Giny trazo un golazo de oro

2.018 Plazas

Hasta el 25 de abril

Convertirte en uno de los profesionales más atentos del mundo

Informate en: 902 421 00

ფრანკ რაიკარდის „ბარსელონამ“ „მილანი“ „სან სიროზე“ დაამარცხა და ჩემპიონთა ლიგის ფინალისკენ მიმავალი გზა ალბათ გაიადვილა. ლუდოვიკი ჟიულის ბრწყინვალე გოლმა უფრო რეალური გახადა კატალონიელთა ოცნება, მეორედ მოიგონ ლიგა.

პირველი ტაიმი მეტისმეტად ტაქტიკური, ფრთხილი გამოდგა, თუმცა მასპინძლებმა რამდენიმე ხელსაყრელი საგოლე ეპიზოდი ქარს გაატანეს. შესვენების შემდეგ კი ჯადოქარ რონალდინიოს ფანტასტიკური პასით ჟიულიმ გაიტანა და „მილანის“ ტიფოზებს ლახვარი ჩასცა. კარლო ანელოტის ბიჭები ამის მერე რაღაც უცნაურად გაითანგნენ და თითქოს წაგებას შეურიგდნენ. მილანელთა ვარსკვლავებმა გულშემატკივრებს შესაფერისი ფეხბურთი ვერ აჩვენეს და ნახევარფინალის მეორე რაუნდში უმძიმესი ბრძოლა მოუწვეთ.

დასაწყისში „მილანის“ ყველაზე აქტიური მებრძოლი ჯენარო გატუზო იყო. პირველი სახიფათო მომენტი კი იაპ სტამამ გაახერხა. ჰოლანდიელის თავური მცირედით ასცდა ვალდესის კარს. მე-15 წუ-

თზე სერჟინიომ აუტი ჩააწოდა „ბარსელონას“ საჯარიმოში, რაფაელ მარკესმა მოგერიების ნაცვლად ბურთი მკერდზე მიიღო და კინაღამ ახეირა ჯილარდინო, რომელმაც ძელი შეატოკა. მცირე ხანში კლარენს ზედორფი მარტო დარჩა მარცხენა ფლანგზე და „ბარსას“ საჯარიმოში შეჭრილ შვეინგოს თავზე დაასვა ბურთი — უკრაინელის დარტყმული ვალდესმა გაჭირვებით მოიგერია. „ბარსელონაც“ უტევედა, ოლონდ კატალონიელების სუსტი დარტყმები აღვილი საკბილო იყო დიდასთვის. 38-ე წუთზე რონალდინიოს და სამუელ ეტოს კომბინაციის მერე ჟიულის უნდა გაეტანა, თუმცა ბურთი დიდას ჩააბარა.

შესვენების შემდეგ ჯილარდინომ რაღაც სასწაულით ვერ გაუტანა ვალდესს — კაკას პასს უხერო დარტყმა მიაყოლა.

56-ე წუთზე მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა რონალდინიომ ჯენარო გატუზოს ავობა და ჟიულის ისეთი პასი უძღვნა, მტერ-მოყვარე ერთიანად რომ აღაფრთოვანა. ფრანგმა ამჯერად ივარგა და ასევე დიდებული დარტყმით 0:1

აანთო „სან სიროს“ ტაბლოზე.

მასპინძლები ჯერ გონზეც არ მოსულიყვნენ, რომ ჟიული-რონალდინიოს კომბინაციას კინაღამ მეორე გოლი მოჰყვა. ფრანგმა ბურთი მოიგდო და რონალდინიოს გადააწოდა, ბრაზილიელი წინ გაიჭრა და დარტყმა, დიდა იმ ეპიზოდში უძღური გახლდათ, ოლონდ, საქმეში ძელი ჩაერია. მატჩის მიწურულს გათანაბრების შანსი მასიმო ამბროზინიმ წაახდინა, კაკას პასი ვერ გამოიყენა. მატჩს წინ ესპანური პრესის მიერ „შავ ეშმაკად“ შერაცხული ანდრეი შვეინგო მეორე ტაიმიმ საერთოდ არ ჩანდა მოედანზე, ხოლო პირინელთა მედიის მიერ ნაქებმა კახი კალამქ ურიგოდ არ ითამაშა, ჩვენებური ბევრს სჯობდა „მილანის“ შემადგენლობაში.

რა თქმა უნდა, კატალონიურმა ინჩაღამ დიდი გამარჯვება ღირსეულად აღნიშნა — „ბარსელონას“ 2 ათასი ფანი მატჩის შემდეგ მილანის მთავარ მოედანს „პიაკა დელ დუომოს“ შეესია და ადრე დაწყებული ფიესტა განაგრძო — სტუმრები სამშაბათ დილიდანვე მხიარულად ჯირითობდნენ მოედანზე.

იქ იყო „ბარსას“ დროშების ფრიალი, სიმღერები და... ლუიშ ფიგუს გინება. რა გაეწყობა, „ბარსელონამ“ რაც უნდა მოიგოს, ფანებს მოსისხლე „რეალში“ გადაბარებული პორტუგალიელი არ ავიწყდებათ. ფიგუ კი ახლა „მილანის“ მტერ „ინტერში“ თამაშობს და, კატალონიურ მედიას თუ ვენდობით, მის მაგინებლებს „როსონერი“ ტიფოზებიც აჰყლიან...

„ძალიან ბედნიერი ვარ, თუმცა ჯერ „კამპ ნოუს“ შეხვედრამა წინ გუნდი საოცრად ორგანიზებული იყო და თამაშიც გვარიანი გამოვიდა. რონალდინიოს პასის შესაფასებლად სიტყვები არ მყოფნის. მატჩი უფრო დიდი ანგარიშითაც უნდა მოგვეგო“ — უთხრა ლუდოვიკი ჟიულიმ თამაშის შემდეგ ჟურნალისტებს.

ცხადია, ინტერვიუებზე მონაღირებიდან ფრანგები სჭარობდნენ, ჟურნალისტები ჟიულის ხელიდან გლეჯდნენ ერთმანეთს...

„ეს დიდი შანსია ჩვენთვის, ოლონდ არც ის გვავიწყდება, „კამპ ნოუზე“ გაბრაზებულ „მილანთან“ რომ მოგვიწევს თამაში. კარლო ანელოტისთვის რაიმე ტაქტიკური ომი

არ მომიგია, „ბარსას“ და „მილანის“ ფეხბურთელები წინასწარ მონახაზებზე უფრო მაღლა დგანან“ — განაცხადა „ბარსელონას“ მწვრთნელმა, წარსულში დიდმა მილანელმა რაიკარდმა.

„თანაბარი თამაში იყო, გატანის შანსები ორივე გუნდს ჰქონდა. შედეგი ჩვენთვის ცუდია, თუმცა „კამპ ნოუზე“ გამარჯვების მაინც გვეძებება“ — თქვა „მილანის“ თავკაცმა კარლო ანელოტი.

ბოლოს, ისიც ვთქვათ, როგორ გამოეხატა ესპანური მედია ამ დიდ ფიესტას. „სპორტს“, „ბარსას“ პირველმეზობტებს თავფურცელზე დიდად უწერია — **GRANDISSIMO**, მადრიდულ „ასს“ კი — „მეფე არასდროს ცდება“ (რონალდინიოს გულისხმობენ, რა თქმა უნდა). „გალოტარია, გოლებს გრუქნის და... იციანის!“ — ვკითხულობთ „მარკაში“. ხოლო ყველაზე შთამბეჭდავი სათაური კატალონიურმა „ელ მუნდო დეპორტივომ“ შეარჩია — „ო ლა ლა!“ მოგეხსენებათ, ჟიული ფრანგია და გაზეთიც მის გოლს პატივს გალთა საყვარელი შეძახილით მიაგებს...

ლადო ხომერიძე


















NBA რეგულარული ჩემპიონატი

ფაჩულია ატლანტას გაუორება



დორელ რაიტი ზაზა ფაჩულიას წინ აუფრინდა

პროგრესზე ფიქრს მცნიერებსა და ტოტალიზატორის თავდაკლულ მოთამაშეებს დაუთმობთ. რეალობაში კი „ატლანტა“ მართლაც, გაცილებით უკეთესია შარშანდელთან შედარებით და ამ ბოლო წლებში ჩაძირული გუნდის მაშველ რგოლად „ფინიქსიდან“ ერთი წლის წინ გადმოყვანილ ჯო ჯონსონთან ერთად, „მილუოკიდან“ „ატლანტაში“ ასევე ერთი წლის წინ გადმობარებული ზაზა ფაჩულიაც მოველინენ.

მანამდე არც ერთ ქართველს და არც თავად ზაზას არ ჰქონია ასეთი სეზონი. ფაჩულია გუნდს ძირითადი ცენტრი და ერთ-ერთი ლიდერია, მატჩში საშუალოდ 11 ქულაზე მეტს და თითქმის 8 მოხსნას აგროვებს. ახლაც „მაიაში“ 18 ქულა ჩაუდო. ამ დაძაბულ მატჩში კი გამარჯვების ბურთი ციქნა ტაისონ ლუმ ჩაგალო — საფინალო სირენამდე მ წამით ადრე სამიანი დააქუხა.

მაგრამ ერთი სათქმელია — რომ „მაიაში“ ლამის განახევრებული გუნდით თამაშობდა. ფლორიდაელთა თავკაცი პატ რაილი ოფის წინ ლიდერებსაც ასვენებს და საკუთარ გონებასაც თავად ასე თქვა, ავადმყოფი დედა უნდა მოვინახულო და გუნდი ასისტენტს გადააბარა. ტრავმები მოიმიზნეს და „ატლანტასთან“ არ უთამაშაოთ შაკილ ონილს, დუეინ ვეიდს და გერი პეიტონს, ეს სამეული კი ერთად 55 ქულად და კიდევ ბლომად ხეირად დირს. დამწყები ხუთეულის ორი დანარჩენი წევრიც — ჯეიმს პოუზი და უდონის ჰეისლიმი სათადარიგოებში იყვნენ და გამოდის, „ატლანტას“ „მაიაში“ სათადარიგოებთან გადახდა ომი. მაგრამ ჯორჯიელებმა მოიგეს და სულ არ ადარდებთ, ვისთან და როგორ.

კობე ყოფნია

კი შინ „მაიაში ჰიტს“ მოუგეს და ამ რეგულარულში 26 გამარჯვება მოუგროვდათ. სხვაობა თვალსაჩინოა და თუ ამ პროგრესით გააგრძელებენ ზრდას, ატლანტელებმა მომავალ რეგულარულში 52 უნდა შეაგროვონ. სხვათა შორის, ზუსტად ამდენი აქვს „ქორებს“ მიერ ახლახან ძღვეულ „მაიაში“ და ეს გუნდი ამ მაჩვენებლით ადმოსავლეთში მხოლოდ ჩემპიონობის სუპერფავორიტად „დეტროიტს“ ჩამოუვარდება.

მაგრამ დავივიწყოთ თეორია და

Table with 2 columns: აღმოსავლეთი and დასავლეთი. Rows include teams like დეტროიტი, მაიაში, ნიუ ჯერსი, etc., with columns for wins, losses, and points.

დახრილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდები. პირველ სამ ადგილზე არიან დივიზიონების ლიდერები



წაინდა ანტონიო სანიკიძე შეიფარა

სან ანტონიოში რვათვიანი მკურნალობა-ვარჯიშების შემდეგ ვიქტორ სანიკიძე თბილისში დაბრუნდა. დღე-დღეზე ის საფრანგეთის ვიზას გააკეთებს, თავის გუნდ „დიჟონში“ წაევა და შესაძლოა, საპლეიოფო მატჩებშიც მიიღოს მონაწილეობა. სანიკიძემ მ თვის წინ ორივე მუხლზე ოპერაცია გადაიტანა, ოპერაციისა და შემდგომში რეაბილიტაციის ხარჯებიც მთიანად ნბა-ს მოქმედმა ჩემპიონმა „სფურზმა“ გაიღო. შეგახსენებთ, „სან ანტონიომ“ 2004 წლის დრაფტზე აირჩია ქართველი ფორვარდი და ამხელა მზრუნველობასაც ამიტომ იჩენს მის მიმართ. უახლოეს გეგმებზე თავად ვიქტორ სანიკიძე გვესაუბრება...

— ახლა საფრანგეთის ვიზას ველი და მივიღებ თუ არა, „დიჟონში“ მივიღებ. იქ უკვე მელიან.

— კი, მაგრამ სეზონი საცაა, დასრულდება...

— დასრულდება, მაგრამ „დიჟონის“ საკუთრება ვარ, ამ გუნდთან კონტრაქტი მაკავშირებს და ხომ უნდა ჩავიდე. ტრავმა აღარ მაწუხებს და „დიჟონში“ ვბრუნდები.

— ანუ ამ სეზონს „დიჟონში“ ჩამთავრებ?

— ჩასვლით ჩავალ, მაგრამ ვითამაშებ თუ არა, არ ვიცი. ამერიკაში რომ მივიღოდი, „დიჟონის“ დაშვებულთა სიაში ვიყავი და ახლა ხელახალი ლიცენზია მჭირდება. შესაძლებელია, საბუთების მოწესრიგება ვერც მოესწროს.

— მუხლები სრულად მოიჩინე?

— არავითარი ტკივილი აღარ მაწუხებს, ყველანაირად შემიძლია, დავიტივროთ, ეგაა, ჯერ ფორმაში არ ვარ. ოპერაციის შემდეგ კარგა ხანი უქმად ვიყავი და მწყობრში ჩასადგომად დრო მჭირდება.

— „სან ანტონიოს“ რა პირობით დაშორდი?

— იენისის ბოლოს სოლტ ლეიკ სიტიში საზაფხულო ლიგაა და იქ უნდა ჩავიდე. ეს იქნება ჩემი გამოცდა და თუ წარმატებით ჩავაბარებ, შესაძლოა, „სან ანტონიოში“ ამიყვანონ.

— როგორ ფიქრობ, რამდენად რეალურია, რომ „სფურზში“ გადახვიდე?

— რა ვითხრათ, რაკი „სან ანტონიომ“ დრაფტზე ამიყვანა, ესე იგი, ჩემით დაინტერესებულია. ამ გუნდის ხელმძღვანელობამ ჩემს შესახებ ყველაფერი იცის, მ თვის მანძილზე ძალიან კარგად გამიცნო და საზაფხულო ლიგაზეც იმიტომ მიმიწვია, რომ სერიოზული განზრახვა აქვს. თუ სოლტ ლეიკ სიტიში ჩემი შესაძლებლობები სრულად წარმოვაჩინე და თან ილბა-ლმაც წამაშველა ხელი, ალბათ მომავალ სეზონში „სან ანტონიოში“ ვითამაშებ.

ირაკლი კერტაია



თქვენი ინტეხვიუ ზაზა ფაჩულიასთან მოგვმართეთი ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

თქვენი მორიგი რესპონდენტი საქართველოს საკალათბურთო ნაკრების და „ატლანტა ჰოქსის“ ცენტრალური თავდამსხმელი ზაზა ფაჩულია იქნება. მოგვანოდეთ კითხვები და ნბა-ს ყველაზე წარმატებულ ქართველთან ინტერვიუ არაუგვიანეს 25 აპრილამდე გამოქვეყნდება.



